ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2351448

ნომერი: AR1362257

თარიღი : 11.12.2015

გაცემის თარიღი : 18.12.2015

გაცნობის თარიღი : 21.12.2015

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბაგების სტუდქალაქის სამხრეთ აღმოსავლეთით წყნეთის გზატკეცილის მიმდებარედ., (ნაკვეთი N4/146) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნიკოლოზ აბაშიძე პ/ნ 01007000077
- თბილისი ივ.ტურგენევის ქ. N 7

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. დიზაინერული სტუდია "ნიკოლო&ვაჟები" კოდი: 205208210

ნომენკლატურა :

- ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ნიკოლოზ აბაშიძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. ა ენდ დ
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 202054463
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გიორგი ქუთათელაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01009007500

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 400.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 150.4
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 386.7
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 240.7
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 146.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 1144.8
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 1045.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 99.8
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 12.9
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 11.2
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 1.7
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 181.0

კ1=181.0/400.0=0.5

- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 465.9

კ2= 465.9/400.0=1.2

- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 148.4 კ3= 148.4/400.0=0.4

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

№AR1362257 ელექტრონული განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.
ვინაიდან შენობა თავისი მახასიათებლებით არ განეკუთვნება IV კლასის შენობა–ნაგებობას, საჭიროა სწორად შეავსოთ კლასის განმსაზღვრელი კალკულატორი კერძოდ, თქვენს მიერ არასწორად არის მითითებული შენობის საძირკვლის ტიპი – ხიმინჯი. აქედან გამომდინარე სამსახური მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა. წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი და საკითხის შემდგომი განხილვა იწარმოებს სრულყოფილი დოკუმენტაციის ახალი რეგისტრაციით წარმოდგენის შემთხვევაში და შესაბამისი გადაწყვეტილება გეცნობებათ კანონით დადგენილ ვადაში.

დოკუმენტაციის ახალი რეგისტრაციით წარმოდგენის დროს ასევე საჭიროა გაითვალისწინოთ:

1. შესაბამის ველში მიუთითეთ გრგ–ს და მერის განკარგულების რეკვიზიტები (გრგ - № 1820953 06/04/2015) განკარგულება. #80 (27.03.2015წ)
2. დამკვეთის ინფორმაცია. -> .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: წარმოსადგენია გიორგი ქუთათელაძის მიერ გაცემული მინდობილობა, ნიკოლოზ აბაშიძის განმცხადებლად დაფიქსირებაზე. ან გიორგი ქუთათელაძე დააფიქსირეთ თანაგანმცხადებლად.
3. საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.: წარმოსადგენია ტოპოგრაფიული გეგმა (მ1:500) შესრულებული უფლებამოსილი პირის მიერ მისივე საპროექტო ორგანიზაციის სატიტულო შტამპიან ფურცელზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების, არსებული საინჟინრო-კომუნალური ქსელების, შენობა-ნაგებობის განთავსების ,მისასვლელი გზების, ღობეების, გამწვანების ჩვენებით შესაბამისი პირობითი ნიშნების დატანით) და ამ ტოპოგრაფიულ გეგმასთან ერთად უნდა იქნას ატვირთული თქვენს მიერ დამუშავებული გენ–გეგმაც. აღნიშნული გენ– გეგმის ნახაზი შესრულებული უნდა იქნას პროექტის შემსრულებელი ორგანიზაციის სატიტულო შტამპიან ფურცელზე, საპროექტო შენობის საკადასტრო გეგმასთან

მიბმის მანძილების ჩვენებით, დაღერძილი, ღერებს შორის მანძილების მითითებით და მომიჯნავე მიწის ნაკვეთების ჩვენებით.

4. საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით.: შესწორდეს დადგენილი ხარვეზის შესაბამისად.

5. ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: არასწორია. მიწის ნაკვეთის განაშენიანების ფართობი არის მიწის ნაკვეთის შენობა-ნაგებობებით დაფარული, განაშენიანებული ზედაპირის ორთოგონალური პროექციის ფართობი და არსებობის შემთხვევში მასში იანგარიშება პანდუსებიც, ღია კიბის უჯრედებიც და საპროექტო ღობეებიც.

6. შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.: გრაფიკულ ნაწილში დაიტანეთ შტამპები პროექტის ავტორის, თანაავტორის, საპროექტო ობიექტის დასახელებისა და საჭიროების შემთხვევაში საპრექტო ორგანიზაციის მითითებით. დამოწმებული შესაბამისი ხელმოწერებით.

7. შენობა-ნაგებობის ჭრილები, მასშტაბი 1:100. -> .ჭრილების pdf ფაილი.: დაიტანეთ საკადასტრო წითელი ხაზები საპროექტო შენობა-ნაგებობიდან დაშორების მანძილების მითითებით.

8. შენობა-ნაგებობის ფასადები, მასშტაბი 1:100. -> .ფასადების pdf ფაილი.: დაიტანეთ საკადასტრო წითელი ხაზები საპროექტო შენობა-ნაგებობიდან დაშორების მანძილების მითითებით.

9. შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემა. -> .სიმაღლის განმსაზღვრელი სქემის pdf ფაილი.: მაქსიმალური დასაშვები სიმაღლის განსაზღვრის სქემა საჭიროა ატვირთოთ შემდეგი შემადგენლობით: გენ-გეგმა, სიმაღლის განსაზღვრის ადგილის დატანით და ამ ადგილებში აგებული ჭრილები; ყველა ნახაზზე: ქუჩ(ებ)ის სრული სიგანის მითითებით; ჭრილზე ღერძულა ხაზისა და ფასადის მაქსიმალური დასაშვები სიმაღლის ნიშნულის განსაზღვრით (ფორმულა H=L/Y) და მათი შემაერთებელი სხივის ჩვენებით.

10. საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. : შესწორდეს დადგენილი ხარვეზების შესაბამისად. დამატებით წარმოსადგენია, განაშენიანების ფარტობისა და კოეფიციენტების (კ1,კ2,კ3) საანგარიშო კროკები შესაბამისი დასახელებისა და ფართების დატანით.

11. მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი. -> .მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკის pdf ფაილი.: საჭიროა ეტაპის სახით გაწეროთ ყველა ჩასატარებელი სამუშაო.

12. "მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი -> .მოსაკრებელის მოშენების ფართობის რიცხვითი მაჩვენებელი: საჭიროების შემთხვევაში განაახლეთ განაშნეიანების ფართობის ველში დაფიქსირებული მაჩვენებლის შესაბამისად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.